№ 183 მარიამობისთვე 29, სამშაბათი 1889 მარიამობისთვე 29, სამშაბათი № 183


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღ.-სასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 ენკენისთვეს.


## სასწავლებელი და პანსიონი
### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებით სადგურში, მეცუგოვის სახლებში, რომელიც იქვე ახლოს „ხიდის" ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—8)



## სასწავლებელი

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავხსენი ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლებისათვის. თთვიური გარდასახადი არის ექვსი მანეთი. ბავშვებს მივიღებთ უეგზამენოდ ოც სექტემბრამდე.

სასწავლებელთან არის პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება, როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანვე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით, როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ ყმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში არიან, სუსტად სწავლობენ და დახმარება ეჭირვებათ.

სასწავლებლის მმართველი
ს. ბ. ჯორჯიკია

19 აგვისტოს 1889 წ. (5—5)



«ტფილისის სობრანია»

სამშაბათს, 29 მარიამობისთვეს, ქართულის თეატრის არტისტები წარმოადგენენ:

I

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

ვოდევილი 2 მოქმედ., გადმოკ. თ. რ. ერისთავისაგან.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

კომედია-ვოდევილი 1 მოქმედებად თ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენნი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, მელიქიშვილისა; ბ ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, ნებიერიძე და სხვ.

დასაწყისი 9 საათზე.


## ახალი ამბავი

*** მის უდიდებულესობას ნასრედინ შაჰს კვირას, 27 მარიამობისთვეს, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ მიართვა საპატიო დიპლომი, მშვენიერს ჩარჩოში გაკეთებული, რომელიც მისმა უდიდებულესობამ დიდის სიამოვნებით მიიღო და სთქვა, რომ ამ გვარ საზოგადოების მოქმედებას დიდად ვაფასებ და ხელსაც ვუმართავო. ამ დიპლომთან მის უდიდებულესობას მიუტანეს პორტფელიც, რომელშიაც მაჰმადიანურ ენაზე დაწერილი საზოგადოების წესდება იყო, და აგრეთვე სპარსულს ენაზედ დაწერილი წიგნები სპარსეთში გასავრცელებლად. ირანის მბრძანებელმა მადლობა გადუხადა და შებრძანდა მოსასვენებლად. ეს ამბავი ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ აცნობა ბორჟომს მყოფს მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, რომელიც ამ საზოგადოების მფარველად ითვლება.

*** ორშაბათს, ამ თთვის 28-ს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებლით ჩამობრძანდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

*** გუშინ, 28 მარიამობისთვეს, დაასაფლავეს ვერაზე სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ გრიგოლის ძე ჯომარჯიძე. პანაშვიდი გადაუხადეს კორპუსის სამხედრო ტაძარში, საიდგანაც სასაფლაოზე წაიღეს ამფოანით, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო მრავალი გვირგვინი. წირვა და პანაშვიდი გადაუხადა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ პალლადიმ, რომელიც სასაფლაომდე გაჰყვა ცხედარს ფეხით. მიცვალებულის ჯილდოები მიჰქონდათ მე-15 გრენადერის ტფილისის პოლკის აფიცრებს. ამფოანს უკან მისდევდა დიდ-ძალი ხალხი და გენერლობა. შემდეგ მიდიოდა მე-5 კავკასიის რეზერვის ბატალიონი და ერთი ესკადრონი ჟანდარმებისა. დასაფლავების დროს არსენალიდგან სამჯერ გაისროლეს ზარბაზნები.

*** ამ თთვის 22 ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურზე შემდეგი უბედურება მოჰხდა: დილის თერთმეტ საათზე ამ რკინის გზის ლიანდაგზე, სადაც შეშის საწყობებია, როდესაც ვაგონების გადასაწყობ-გადმოსაწყობად მოაბეს მატარებელი ვაგონებს, მატარებლის ქვეშ ჩავარდა სპარსეთის ქვეშევრდომი ალი-მაშადი-ალავერდი და მატარებელმა მოაგლიჯა მარცხენა ფეხის ბარძაყი. ალი-მაშადი-ალავერდი ამ დროს ვაგონის ქვეშა მჯდარიყო. დაჭრილი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს. იძახიან, რომ ამ უბედურ ფეხის ძვალიც დაშავებია და სიარული აღარ შეუძლიანო.

*** ხუთშაბათს, მარიამობისთვის 24 ს, არსენალში არტილერიის ქარხნის უნტერ-აფიცერმა ივანე მუჩკანსკიმ რევოლვერი დაიცა და მოიკლა თავი. მიზეზი თავის მოკვლისა არ იციან.

*** ოთხშაბათს, მარიამობისთვის 30, აკურთხებენ და ჩაჰყრიან საძირკველს იმ ნიშისას, რომელსაც ალექსანდრეს ბაღში აშენებენ.

*** ამ ბოლოს ხანამდე ქართულის წერისათვის არ იყო განსაკუთრებული რვეულები და სკოლებში და კერძოდაც ჰხმაროდნენ რუსულისა, სომხურისა და გერმანულის ენის რვეულებს. ეს რამდენიმე წელიწადია რაც პირველი ბადიანი ნომერი ქართულის წერის რვეულისა დაიბეჭდა, მაგრამ შემდეგი ნომრებიკი აქამდის არა გვქონდა. ეხლა უკვე დაუმზადებიათ მეორე ოთხ-ხაზიანი რვეული, მესამე—ორ-ხაზიანი და მეოთხე—ერთ-ხაზიანი. ეს რვეულები ჩვეულებრივის რვეულისაგან იმითი განირჩევა, რომ სიგრძეზედ არის დაბეჭდილი და შეკერილი, და არა სიგანეზედ, და ამას გარდა ყველა ნომერს სხვა-და-სხვა ფერის ყდა აქვს: პირველს—ვარდის ფერი, მეორეს—ცისფერი, მესამეს—მწვანე და მეოთხე—...

## ფელეტონი

### ცილის-მწამებელი და გველი

ჯოჯოხეთის კარზე მიდგა
ერთხელ ცილის-მწამებელი
და იმ დროსვე შხამიანი
ამოუდგა გვერდში გველი.

—

„ჯერ მე შევალ", „არა, მეო!"
მოუვიდათ იქ ცილობა.
აიშალნენ!.. დაავიწყდათ
ძველებური გაზდილობა.

—

გველმა უთხრა: „პირველობა
მე მეკუთვნის! სწორედ მეო,
რადგანაც რომ იმ ქვეყანას
ბევრი კაცი დავშხამეო!"

—

კაცმა უთხრა: „მართალია,
განთქმული ხარ გესლითაო,
მაგრამ მე-კი ნაკლები ვარ
ბოროტ სიტყვის თესლითაო?"

—

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა...
კაცი მაინც გაუძალდა,
მაგრამ გველმა არ აცალა
და წინდაწინ შესრიალდა.

—

ბელზებელმა შემოჰხედა
და გველი რომ დაინახა:
„რა თავს იგდებ, შე უზრდელო?
გაჩერდიო!" დაუძახა.

—

„ეისი ტიკი-ტომარა ხარ,
ღირსეულს რომ არ აცლიო?
მართალია, დიდი არის
შენი შრომა და ღვაწლიო,

—

მაგრამ შენ რომ კაცებს ჰკლავდი
ახლო-მახლო კბენითაო,
ცხრა მთას იქით გულს უხეთქდა
ეგ სხვებს მწარე ენითაო!..

—

პირველობა მაგისია!..
შენ ნუ სცდილობ ტყვილადაო!..
და ჩემგანაც ნაკურთხია
ჯოჯოხეთის შვილადაო!"

აკაკი

### ფშავეთი და ფშაველები

(რელიგიურნი რწმენანი ფშაველებისა და იმათი ხატები)

(შემდეგი *)

ყველაზედ უწმინდურად ფშაველს მიაჩნია მელოგინე დედაკაცი, მას შემდეგ „მებოსლე" და სულ ბოლოს ბოსლობის ასაკში მყოფი დედაკაციც. მელოგინე დედაკაცი ვერ მიეკარება ვერც სახლსა და ვერც ბოსელს. მოსალოგინებლად იმას ფშაველი სახლზედ და ბოსელზედ მოშორებით ცალკე ქოხს უკეთებს და მელოგინე ორის კვირის განმავლობაში თავისის ახლად დაბადებულით ამ ქოხში სცხოვრობს. ორის კვირის შემდეგ გადასახლდება ბოსელში. თუ მელოგინის ოჯახში ხევის-ბერია, მაშინ მელოგინე ბოსელში რჩება ორის თთვის, ან უფრო მეტ ხანის განმავლობაში, თუ ხევის-ბერი არა ჰყავს, მაშინ რჩება ბოსელში ერთის თვიდგან შვიდ კვირამდე. თუ მელოგინეს ხევის-ბერად ან მოწმინდარად ოჯახის წევრი ან ნათესავი ჰყავს, მაშინ იმასაც ხელ-მხარი უნდა უნათლოს ხატში და ამით აღუდგინოს მშობიარებისაგან შებღალული სიწმინდე. ფშავლის აზრით, მშობიარეს უწმინდურება უწევს მის მოწმინდარ ნათესავებამდე და ამის გამო ხატი მშობიარეს ვალადა სდებს ხელ-მხარი გაუნათლოს არამც თუ ხატის მუდმივ ხევის-ბერსა და მკითხავ-მოწმინდრებს, არამედ ისეთს დროებითს მოწმინდარსა და მსახურსაც-კი, როგორიც დასტურია. ხელ-მხარს ინათლავს ხევის-ბერი ამ შემთხვევაშიაც ჩვეულებრივის წესით: ხატში დაკლულ საკლავის სისხლს წაისვამს შუბლზედ და ხელებზედ თითონ, ხოლო დასტურებსა და სხვა დაბალ ხარისხოვან მოწმინდარებს ხატის თავ-ხევის ბერი წაუსვამს სისხლს შუბლზედა და მაჯებზედ. ხელ-მხარის სანათლავის დაკვლის დროსაც ხევის-ბერი ხატს ჩვეულებრივად ადიდებს და ამწყალობებს ხელ-მხარის გასანათლავად მსხვერპლის შემწირველს. რადგანაც „თავ ხევის-ბერი" უფრო მახლობელია ხატისა, ამისთვის იმას ყველაზედ მეტი სიწმინდე მართებს. ხევის-ბერს გარდა, სხვა „მოწმინდარების" შორისაც განსხვავებაა სიწმინდეს მხრივ, ზოგს მათგანს შეუძლიან „ხატის დარბაზს შესვლა", ზოგს-კი არა. ხევის-ბერსა და ხატის დარბაზში მოარულს მოწმინდარს შორეული ნათესავებიც უნათლავენ ხელ-მხარსა, ხოლო დაბალ ხარისხოვან მოწმინდარებსა და დასტურებს-კი მარტო ახლო ნათესავები. ფშავლის ჩვეულებას და იმათს მკითხავებს ხელ მხრის ნათლვისთვის ნათესაობას მუხლობრივ განსაზღვრული არა აქვს და არც არსებობს ისეთი მუხლი ნათესაობისა, რომელიც ნათესაობის დაშორების გამო ხელ-მხარის განათლვის მოვალეობასა სპობდეს. ფშაველმა თავისი მოვალეობა ხელ-მხარის განათლვის შესახებ კარგად იცის და რაკი იმას ეს, ბავშვის დაბადების შემდეგ, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, ამისთვის იგი მკითხავს და იმის პირით ხატის ბძანებას არ მოულოდინებს და ხშირად თითონვე მიჰყავს ხატთან დასაკლავად ხელ-მხარის სანათლავი მსხვერპლი. თუ ხევის-ბერმა და მოწმინდარმა თავი მართლა წმინდად არ შეინახა, მათ ხატი გაუწყრება, ავათ გაჰხდის. ხოლო თუ ხელ-მხარი არ უნათლეს ნათესავებმა, ამ შემთხვევაში ხატი ხევის-ბერს არ ახდევინებს სასჯელსა. ვინც მოვალე იყო ხელ-მხარი გაენათლა ხევის-ბერისთვის, იმას მოამიზეზებს და დასჯის. მოწმინდარს დედაკაცებშიაც არის განსხვავება. „მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ხატს სიყრმიდგანვე დაუჭერია", „დაუმონავებია", იმათ ხალხი უწოდებს „ხატის ქალებს". ხატის ქალს ნება არა აქვს გათხოვებისა, უქმარ-შვილობერდება, მას აღკრძალული აქვს მამაკაცთან დაახლოვება და „ქმარ-შვილობა", იმათ ხშირად საკუთარი სახლიცა აქვთ „განმარტოებით", სოფელს მოშორებული, მათ სახლში დედაკაცს არა აქვს ნება იაროს. „ხატის ქალები" ჰყავს, სხვათა შორის, თამარ-მეფეს. ფშაველებს აქვთ იმათ საცხოვრებლად აშენებული სახლი ხადხევში, არტნის საზოგადოებაში, და სოფელ ხუშხევას ახლო ტყეში. ამ სახლებს გარდა ხატის ქალებს თავთავიანთ მშობლების სახლს ახლო ცალკე სახლებიცა აქვთ აშენებული. ხატის ქალი თავის ნებაზე დადის და სადაც მოისურვებს, იქ იცხოვრებს ამ სამ სადგურთაგანში. ხატის ქალები სხვა მოწმინდარ დედაკაცებზედ მაღლა სდგანან და ხატის მახლობელად ითვლებიან. მეორე რიგის მოწმინდარი ხატის დაჭერილი დედაკაცები არიან ქმარ-შვილიანები. მათ ქმარ-შვილიანობა ხატისგან აღკრძალული არა.

*) იხ. „ივერია" №№ 138, 139, 140, 177 და 178.

თხეს—იასამნის ფერი, ასე რომ ფერზედ ეტყობა რომელი რა ნომერია. თითო რვეული 5 კაპ. იყიდება.

*** ამ ბოლოს დროს ჩუღურეთელები ქურდობას ძალიან უჩივიან. მარტო ამ უკანასკნელს კვირაში სამ-ოთხს სახლს სწვევიან ეს ვაჟბატონები და მხოლოდ ერთგან გაუმარჯვნიათ, მთელი სახლი გაულაგებიათ თითქმის, მეორეგან—აივანზედ დაკიდებული იალონი წაულიათ ყაფაზიანად, მესამეგან—სამხედრო ტანისამოსი და წალები, მეოთხეგან კიდევ ორჯელ-სამჯერ ასულან კედელზედ, მაგრამ მდგმურებს გამოჰღვიძებიათ და უკითხავთ, ვინ გინდათო. ღამის სტუმრებს უპასუხნიათ, რომ ამხანაგი დაგვეთრო და სახლისთვის ვერ მიგვიგნიაო. ეს ქურდობა სულ ჩუღურეთშია მომხდარი, პოლიციის მე-8 ნაწილში, ნიკოლოოზისა და სომხის ღვთის-მშობლის ეკკლესიის ახლო-მახლო. ამბობენ, რომ ქურდები ორნი თუ სამნი არიან, ჩუღურეთელები, და ისინი დაწრწიან ღამ-ღამეო.

*** კაცი რომ ჩაუფიქრდეს სოფლის ცხოვრებას, მეტის მეტად ბევრს უწესოებასა დაურიგობას შენიშნავს. აი თუნდა შემდეგი უწესოება ავილოთ მაგალითად: ზოგიერთი მოხელენი, რომელთაც საქმე აქვთ გლეხებთან, სწორედ ისეთ დროს შეურჩევენ ამ საქმეს გასაკეთებლად, როცა გლეხს ათასი თავში საცემი საქმე აქვს შინ და გარეთ, როცა ცეცხლის კიდებაა და სარჩო მინდვრად უყრია. მოხელე ამას არ დაეძებს, აიღებს თავს და დადის სოფელ-სოფელ, იბარებს ხალხს, აქა და აქ გამოცხადდითო. გლეხებიც გამოცხადდებიან, მაგრამ ვინ დაგიკარგავს, ვის ეძებ. მოხელე ანუ მოხელენი ამ დროს გართულნი არიან ქეიფებსა და ლხინებში ნაცნობსა და მეგობარ მებატონეებში. ზაფხული ხომ კარგი დროა საქეიფოდ მოცლილთა და უსაქმურთათვის და ისინიც სწორედ ასე იქცევიან. დაბარებული გლეხები-კი ერთის სოფლიდამ მეორე სოფელში დახეტიალობენ, დაეძებენ დამბარებელ მოხელეს, მაზრის უფროსია, პოლიციის ბოქაული, თუ მომრიგებელ შუა-კაცი. ამ ხეტიალში სცდებიან სამ-ოთხს დღეს, წუთი-სოფელი ულამდებათ და კარზე მომდგარს სარჩოს მინდორში ძაღლი და ღორი აფუჭებს და აოხრებს. ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო, ნათქვამია.

*** დიდ - ლიახვის ხეობაში საშინლად იჩეხება ტყეები. ტყეს სჩეხავენ ოსები და ახოებად იღებენ. დიდის ხნის გაშენებული და გაზარდნილი ტყეები დღეს ისეა განადგურებული, რომ თითქმის ბუჩქიც-კი აღარსად არა სჩანს. ხეობის თავში, ლიახვის ორივ ნაპირებზე, დიდ-ძალი სერები და ფერდობები, ოდესმე ტყით დაბურული, სრულიად მოტიტვლებულია და სახნავ-მინდვრებად გადაქცეული. ახოების გაჩეხა, ესთქვათ, კარგია და ხვნა-თესვის გაძლიერება ბევრს შეჰმატებს ოსებს, რომელნიც სარჩოს ნაკლებობის გამო ქურდობასა და ავკაცობას მეტად ეწყობოდნენ აქამდე, მაგრამ არც ტყეების უწყალოდ ჩეხვაა სასურველი და სანატრელი. ასე ტყეების ჩეხვით იქამდე მივალთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს ლიახვში წყალი სულ გამოილიოს და ამის გამო უდაბნოდ გადაიქცეს მშვენიერი დავაკება ლიახვისა. ამ დავაკებაზეა გაშენებული, სულ ცოტა რომ ესთქვათ, ორასამდე სოფელი, რომელიც თავის მინდვრებს და სახნავ-სათესს ადგილებს მხოლოდ ლიახვიდამ გამოყვანილის წყლითა რწყავს. ამ საქმის უყურადღებობა მეტად ძნელი და მავნებელია და ვურჩევთ, ვისიც ჯერ არს, დაფიქრდნენ და იზრუნონ რამე.

*** **დედოფლის წყარო:** აქ ვაჭრობს ერთი სიღნაღელი ვაჭარი, რომელსაც საკმაო მუშტარიცა ჰყავს. ამ ვაჭრის სიკეთე შეშურდათ, თუ სხვა რამ მიზეზია, მტრად გადაეკიდნენ ვილაც ბოროტ-მომქმედნი და ლამის სულიან-ხორციანად დაჰღუპონ უბედური ვაჭარი ს. მ—ვი. ერთხელ მოინდომეს ცეცხლი წაეკიდებინათ იმის დუქნისთვის, მაგრამ პატრონმა დროზე შეიტყო და აიცილა უბედურება. ეს იყო ამ სამის წლის წინად. მეორედ კიდევ შარშან სცადეს და წელს 18 მარიამობისთვეს მესამედ მიუწყეს შიგ დუქანში ნავთ გადასხმული თივის ტომრები და ცეცხლი წაუკიდეს. კიდევ კარგი, რომ დროზე შეიტყო, მორთო ყვირილი და მეზობლების შემწეობით გააქრო ცეცხლი. ცოტა გვიან რომ გაგვეგო ეს უბედურება, დაიღუპებოდა არა მარტო ის ვაჭარი, არამედ ისინიც, ვინც იმის მეზობლად ან ვაჭრობს და ან ხელოსნობს.

*** **ბარის ოსეთი:** ამ ორის კვირის წინად მდ. თერგის ნახევარმა ნაწილმა გადმოხეთქა სოფ. ბესლანის ცოტა ზევით. წყალი დაეშვა რკინის გზისაკენ, ზოგს საყარაულოშიაც შევარდა, მაგრამ რკინის გზისათვის ზარალი არა მიუცია-რა, რადგანაც ჩქარა შესწყვიტეს. ხოლო სოფლებს ხუმელაგასა და ბრეთს საკმაო ზარალი მისცა: რაც გათიბული თივა ჰქონდათ მინდორში, სულ წაიღო-წამოიღო, და გასათიბი ბალახიც წალეკა. წყალი ეს ოთხი დღეა, რაც შესწყვიტეს.

*** სოფ. დალაგუაგა (კავკავის მაზრა): ჩვენში ამ თთვის პირველ რიცხვებში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: ამ სოფელში მცხოვრები ოსი, გვარად თოხთიევი, და სოფლელი ლაცელები გადაკიდებულნი იყვნენ ერთმანეთზედ და შეუწყვეტელი დავა ჰქონდათ სათიბის გამო თოხთიევი იძახდა: სათიბი ჩემიაო, და ლაცელები იძახდნენ—ჩვენიაო. ამის გულისთვის საჩივარიცა აქვთ გამართული. ამ თთვის პირველ რიცხვებში თოხთიევი თავისის სამის ძმითურთ წავიდა სათიბში სამუშაოდ. სალამოთი როცა შინ მოდიოდნენ, მოეწივნენ გადამტერებული ლაცელები, ოც-დათექვსმეტი კაცი, და უთხრეს თოხთიევს: ჩვენის ტყიდგან წნელები მიგაქვთ და დაგვიბრუნეთ, თორემ არ გაგიშვებთო. თოხთიევი ბევრს ეხვეწა, თქვენის ტყიდგან არა მიგვაქვს-რა და თქვენის ღვთის ჯულისთვის თავი დაგვანებეთ, ნუ გინდათ, რომ ჩვენში რამე უბედურება დატრიალდესო, ლაცელებმა დაუშინეს ქვები და კეტები თოხთიევს და იმის ძმებს, ერთ ძმას მოსდეს თავში ქვა და გაუტეხეს. მაშინ-კი შეუკივლა თავის სამს ძმას თოხთიევმა: აბა, ძმებო, ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო, და იშიშვლა ხანჯალი. ძმებს უთხრა: განზედ უარეთ, შუაში არ ჩაუვარდეთ ამ თხებს და, რაც შეიძლოთ, ცელის ტარები იხმარეთო. თითონ-კი შეუტია ხანჯლით, ბევრი გაჰკინწლა და ხუთი კაცი-კი მძიმედ დასჭრა: ერთმა ლაცელმა ხელი შეაშველა თოხთიევის ხანჯალს, ამანაც სწყვიტა ხანჯალი და გააგდებინა მარცხენა ხელი; მეორეს უკანა კეფა ჩამოათალა; მესამემაც ხელი შეაშველა და ამასაც გაარტყა ხანჯალი შუა თითსა და უსახელო თითს შუა; მეოთხეს მარჯვენა მხარი ჩამოაჩეხა და მეხუთეს თავი შუაზედ გაუპო. შემდეგ მოიხსნა ბერდანკა და გასტენა. დაინახეს თუ არა ლაცელებმა თოფი, იმ წამსვე გაიქცნენ. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს.

*** **საგარეჯო:** ამ ზაფხულს ორი წარმოდგენა გაიმართა აქ: ერთი ფერისცვალობა დღეს და მეორე მარიამობისთვის 20, კვირა დღეს. პირველად წარმოადგინეს „პეპო", ხოლო მეორედ „არსენა" და ვოდევილი „ბაიყუში". ორივე წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და დიდად ასიამოვნა დამსწრე ხალხი. სცენაც კარგად გვქონდა გამართული. დიდის მადლობის ღირსია სცენის ასე კარგად გამართვისათვის ბ-ნი ნ. ა—ლი. მოთამაშეთა შორის თავი იჩინა ნ. ოქ—ლმა, რომელიც ასრულებდა მოხუცის გიჟის როლს „პეპოში". შემოსავალი ორივ წარმოდგენიდამ ექვს თუმნამდე დარჩა, რომელიც გადაიდო საგარეჯოს სახალხო წიგნთ-საკითხავის სასარგებლოდ.

*** 28 აგვისტოს, ვერაზე, ყორღანაშვილის ქუჩაზე, სამსახურიდამ გამოსულის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მიხეილ იაკობის ძის ფონ-გაუდეცის სახლს გაუჩნდა ცეცხლი და დაიწვა სახურავი ნადგომნი სოვეტნიკის ივანოვის სადგომისა. გამოძიება სწარმოებს. სახლი დაზღვეული არ იყო.

◆◆

## ჭორილი კახეთიდამ

სულ ორი წელიწადი არ არის, რაც ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ბოქაულები დაინიშნა. ახალ ბოქაულების დანიშვნის აზრად ის იყო და არის, რომ მაზრის უფროსები ვერ ასდიოდნენ მაზრის მართვა-მეთვალყურეობას, რის გამოც მაზრის სამართველო შეუსრულებელ სასოფლო საქმეებით ივსებოდა. თითო სოფლის მოხელენი თავიანთ ქეიფსა და სურვილზე აწარმოებდნენ სოფლის საქმეებს. იმას ხომ თქმაც არ უნდა, რა უკუღმართად და უწესოდ იქცეოდნენ სოფლის მოხელენი და რა ოსტატობით სუქდებოდა უმეტესი ნაწილი. აი ყოველ ამ უკუღმართობის მოსასპობად მაზრა რამდენსამე საბოქაულოდ დაიყო. თითოეულის ბოქაულის მოვალეობა თავის საბოქაულოში ის არის, რომ ჯეროვანად ადევნოს თვალ-ყური ყველა თავის საბოქაულო სოფლის საქმეებს. რადგან ერთს კაცს, ბოქაულს, თხუთმეტ თუ მეტს სოფელში ერთსა და იმავე დროს არ შეუძლიან ყოფნა და საქმის კეთება, ამიტომ იმის მუდმივ სამყოფად საბოქაულოს შუა სოფელია ამორჩეული. ბოქაული თავის საბოქაულოს შუა სოფელში სცხოვრობს და ყველა საქმეებს აქ აკეთებს. ხშირად, რასაკვირველია, საქმის გამო ბოქაული სხვა-და-სხვა სოფლიდამ იბარებს ხალხს. ხალხის დაბაბა-

აქეთ, მხოლოდ მოვალენი არიან თავიანთი სახლ-კარი და ქმარ-შვილი წმინდად შეინახონ. ხატის გამოწვევა და ქადაგ-მკითხაობა ორივე ხარისხის მოწმინდარ დედაკაცებს შეუძლიანთ. მოწმინდარი დედაკაცები და მამაკაცები, გარდა ხევის-ბერებისა და დარბაზს მოარულ მოწმინდრებისა, არავითარს წესს არ ასრულებენ ხატის მსახურებისას, არც ხატის დღეობაში საჯაროდ და არც კერძოდ ხატის მსახური, ლოცვისა და თაყვანის-ცემის ამასრულებელი, მლოცველების დამამწყალობელი ხატის „თავ-ხევის ბერია", ხოლო თუ იგი რაიმე მიზეზით დღეობაში ვერ დაესწრობა და მლოცველებს წესს ვერ შეუსრულებს, მაშინ ამ მოვალეობას კისრულობს ერთი დარბაზს მოარული მოწმინდართაგანი, წლოვანობით უფროსი და ხატის სამსახურში გამოცდილი და დიდხანს ნამყოფი. ხევის-ბერს არჩევს თითონ ხატი. ხატი ერთ-ერთ მოწმინდართაგანს ამოირჩევს ხევის-ბერად, როდესაც ხევის-ბერი გარდაიცვლება, მკითხავი ახალ ხევის-ბერს ატყობინებს ხატის სურვილს ხევის-ბერად ამორჩევის შესახებ. ახალი ხევის-ბერი ხელ-მხარს გაინათლავს და ჩაიბარებს ხევის-ბერის თანამდებობას. ხევის-ბერად აირჩევს ხატი ერთ ერთს იმ მოწმინდართაგანს, რომელიც დღეობაში ხატის დარბაზში შედიოდა. „მოწმინდარობის" თავდაპირველი მიზეზი არის ავადმყოფობა. ავადმყოფ ფშაველს მკითხავი უცხადებს ხატის სურვილს, რომ მან ის აირჩია, დაეპატრონა და უბძანებს „იწმინდოს", წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფს მკითხავი ცუდს შედეგს უწინასწარმეტყველებს, მაგალითად, დასნეულებასა და სიკვდილსაც ხატის რისხვით. ფშაველი ხატის რისხვას-კი ვერ იკისრებს და ისევ მოწმინდარობას ამჯობინებს. როცა მორჩება ავადმყოფობისაგან, ხელ-მხარს ინათლავს და მოწმინდარის ყველა ვალდებულების მტკიცედ შესრულებას შეუდგება, ბოლოს ზოგიერთი ამ გვარად „გაწმინდებულთაგანი" ეღირსება ხატის მკითხაობასა და ხევის-ბერობას. თუმცა ხევის-ბერს ხატი ხშირად ირჩევს ერთის საგვარეულოდგან, მაგრამ მემკვიდრეობით კი არა. ხატს რამდენიმე საგვარეულო ჰყავს ამორჩეული, რომლის ზოგიერთ წევრებსაც აწმინდებს და ბოლოს ერთ-ერთს მათგანს ხევის-ბერადაც ირჩევს. ხევის-ბერობის ჯერი და ვადა არც საგვარეულოებსა და არც მოწმინდარებს შორის დაწესებული არ არის. ხატი ერთხელ ამორჩეულ ხევის-ბერს არაფერი მიზეზით არ გადააყენებს ხევის-ბერობისაგან, თუ იგი ხატის მორწმუნეა, ერთგულია და მოღალატე არ არის.

ფშაველის აზრით, კაცს თავისი იღბალი, ბედის ვარსკვლავი დაბადებიდგანვე თან დაჰყვება, მისი მომავალი დაბადების დროსვე ზეცას „დამბადებელის" წიგნში იწერება და მას ვეღარ შესცვლის არამც თუ ფშავლის სალოცავი, არამედ თვით ყოვლის შემძლებელი ღმერთიც-კი. მას თავისი „იღბალი", ანუ მფარველი ანგელოზი ყველგან თან დაჰყვება. როგორც კაცნი არ არიან თანასწორნი სიცოცხლის დროს, ისე, ფშავლის აზრით, მათი იღბალიც ერთ ნაირი არ არის, ზოგს მათგანს ძლიერი იღბალი აქვს და ბედნიერია, ხოლო ზოგის იღბალი სუსტია, და ამ გვარის იღბლის მქონი, თუ სულ უბედური არა, კარგს იღბლიანს კაცზედ ნაკლებად ბედნიერი მაინც არის. ხევის ბერი, თუმცა ხატის მახლობელი პირია და ხალხისგანაც პატივცემული, მაგრამ კარგის იღბალის მქონედ, „დავლათიან", ბედნიერ კაცად ის მაინც არ ითვლება ფშავლებში. ხევის-ბერი და მოწმინდარები ხატის „ტუსაღები" „და მონები" არიან. იღბალი-კი კაცს ვერ ამოირჩევს თავისთვის ხევის-ბერად და მოწმინდარად ვერ დაამონავებს, რადგანაც მისი წინააღმდეგი და კაცის მოსარჩლე ამ შემთხვევაში ისევ კაცის იღბალია ფშავლის აზრით, ყველა ხევის-ბერი, ქადაგ-მკითხავი და საზოგადოდ ხატისგან «დამონავებული» კაცი უიღბლოა და თავისუფალ ხალხზედ ნაკლებ ბედნიერი.

ხევის-ბერს გარდა «დასტურიც» ხატის „მსახურია". დასტური ხატს ორი ჰყავს. დასტურობა საყოველთაო სავალდებულო სამსახურია და მოჰყვება ჯერით კომლის ანგარიშზედ. თითო კომლის ოჯახის ერთი რომელიმე წევრი მოვალეა, როცა ჯერით «მიერგება» დასტურობა, წავიდეს ხატის საბრძანებელში და იდასტუროს. დასტური ხევის-ბერის ხელ-ქვეითია და მას ემორჩილება დასტურის მოვალეობაა უყარაულოს ხატის საბძანისსა, მის „თას-განძსა" და ყველა ნივთებსა და შენობებს, მომზადება ლუდისა ხატის დღეობისთვის, გალეწვა ხატის ძნისა, მოვლა ყანისა და სხ... დასტურობის ვადა ერთი წელიწადია: იმათს ამორჩევაში ხატი და მკითხავი არ ერევიან და არც კაცის იღბლიანობასა და უიღბლობასა აქვს რაიმე მნიშვნელობა ამ შემთხვევაში. როდესაც დასტურების ჯერი მიერგება რომელსამე გვარს, ყველა წევრნი გვარისა „ხატს საერთოდ გაიკითხავენ". უმცროსიდგან უნდა დაიწყოს სამგვარეულოდ დასტურობა, თუ უფროსიდგან, ამას ხატი უბძანებს მკითხავის პირით. ფშაველიც ამ ბრძანებას ემორჩილება. ხევის-ბერსა და დასტურს არავითარი ჯამაგირი და ჯილდო არ ეძლევა ხალხისაგან. იმათი შესავალია მხოლოდ დღეობაში დაკლულის ცხვრის „მხარ-ტყავი" და ქადის ნაჭრები.

ძველს დროში უფრო გავლენიანი და ძლიერი ყოფილა ხევის ბერი, ვიდრე ეხლა. ამის მიზეზს, ცხადად დავინახავთ, თუ რომ სახეში ვიქონიებთ, რომ ძველ დროში ხევის-ბერის სამოქმედო ასპარეზი უფრო ფართო და მტკიცე იყო, ვიდრე ეხლა. ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ფშავლის უძლიერესის სალოცავის მედროშე „თავ-ხევის-ბერი" „მკადრე" იყო წინამძღვარი ლაშქრისა, რომელსაც სამღვთო, სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ფშავლისთვის და დიდად პატივსაცემ კაცად და გავლენის მქონებლად ჰხდიდა ფშავლის თვალში დროშა ყველა სალოცავისა და მათ შორის ლაშარის ჯვარისა უწმინდესი საგანია, ფშავლის აზრით, და იმის ხელში დაჭერა და ხელის მიკარება არავის შეეძლო ხევის-ბერის გარდა. როდესაც საქართველოს საზოგადოდ და მის განაპირა ადგილებს, მათ შორის ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთსაც, მაჰმადიან მეზობლებისაგან ათასი უბედურება დაატყდათ თავზედ და, სხვათა შორის, შეამცირა სასულიერო წოდების ხალხზედ გავლენა, მაშინ ხალხმა ხევის-ბერების მეთაურობით გასაოცარის სიმტკიცით გაუწია წინააღმდეგობა ლეკებსა და დაღესტნელ ქისტებს, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებლად ბოქაულს ცალკე კაცი ჰყავს. მთავრობას ეს გარემოება არა აქვს უყურადღებოდ დატოვებული და ყველა ბოქაულს ჯამაგირს გარეშე ეძლევა სამწერლო და სხვა აუცილებელ ხარჯისათვის ფული.

ბოქაულების განწესებით ჩვენში იმედი იყო, რომ ჩვენი სასოფლო საქმე ცოტათი მაინც გვარიანად დატრიალდებოდა და, სულ თუ არა, საკმაოდ მაინც იკლებდა სოფლად მოხელეთა და სხვა სინიდისზე ხელაღებულთა უკულმართი მოქმედება. სწორედ ეს იმედი გაგვიღვიძა კახელებსაც ორის ბოქაულის დანიშვნამ ჩვენში.

მთელი თელავის მაზრა ორ-საბოქაულოდ არის გაყოფილი. ერთი ბოქაული ალაზანს გაღმა ს. ყვირილაში სცხოვრობს და მეორე ალაზანს გამოღმა ს. წინანდალში. ორივე საბოქაულო კარგა დიდია, ასე რომ ს. წინანდლიდამ დასავლეთის მხარეს ოც-და-ათ ვერსზეა გაჭიმული სოფლები და აღმოსავლეთის მხრივ ოც-და-ორ ვერსზე. ასევეა მეორე საბოქაულოც.

განა ადამიანს შეუძლიან სამოც ვერსზე გაჭიმულ სოფლებს მარტოდ-მარტომ უაროს და რიგისამებრ განაგოს? მერე მაშინ, როცა ყველა სოფელში დღე მუდამ გამოულეველია ათობით და ოცობით საქმე! ამიტომ უეჭველად საჭიროა ბოქაულს ჰყავდეს თანაშემწედ ცოტაოდნად გაგებული კაცი, რომელიც რიგიანად უნდა ასრულებდეს ბოქაულის სხვა-და-სხვა მცირე მინდობილობას. საზოგადოდ დიდად საჭიროა მთავრობა სასტიკად განსაზღვრავდეს, რა აქვს ჯამაგირად თვით ბოქაულს და რა უნდა მიეცეს იმის სამწერლოს ხარჯად და იმის თანამშრომელს კაცს, ჩაფარი იქნება, თუ გზირი. საქმეები ბევრი აქვს ბოქაულს და, გულითაც რომ უნდოდეს, მარტო თავად ვერ მოასწრობს. ამიტომ ერთს ბოქაულს მაზრის უფროსმა თავისი თარჯიმანი გაუგზავნა საშველად, რადგან მეტის-მეტად ბევრი საქმეები მოჰგროვებოდა.

◆◆

## სასამართლოს მატიანე

### სტავროპოლის ოლქის სასამართლო

(დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე)

(შემდეგი *)

ფელშერი ივანე გოლუბენკო. 1887 წლის შემოდგომას, მართალია, ორჯელ ვსწამლობდი სტრეპეტოვს. ამ ორ ავად გახდომის შორის სულ ერთ თთვეზედ მეტს არ უნდა გაევლოს. პირველ ავადმყოფობაზედ სტრეპეტოვი შემომჩიოდა, რომ ფეხი მტკივაო, მეორეზედკი ხელს იტკივებდა. კარგად მახსოვს, რომ სატკივრის გარეგანი ნიშნები, სიმსივნე, ნაღრძობი და ან ნაჭრილობევი, არა ჰქონდა-რა ბრალდებულს.

ამ ჩვენების შემდეგ კვლავ ჩამოართვეს ჩვენება მოწმეს ანტონ იაკუბოვიჩს (სასტუმროს ზედამხედველს), რომელმაც სთქვა: დღეს დილით სასტუმროს კანტორის მწერალმა მიამბო, რომ როცა უკანასკნელად იყო ბრალდებულთან ვექილი რუდნევი და სტრეპეტოვს ელაპარაკა, იგი გამოუტყდა და აღიარა, რომ ყიფიანის მკვლელობა ჩემი ჩადენილიაო. ეს ლაპარაკი შემთხვევით გაეგონა მწერალს, რომელსაც იმ დროს ფარდას უკან ეძინა თურმე იმავ ოთახში.

ბრალმდებელის ამხანაგმა სთხოვა სასამართლოს, რომ მწერალსაც ჩამოართვით ჩვენება, ვითარცა ახალს მოწმეს ამ საქმისასა. ვექილი რუდნევი არ დათანხმდა, რომ ამ მოწმესათვისაც ვკითხნათ. სასამართლომ, სისხლის სამართლის დადგენილებათა მე-577 მუხლის თანახმად, უარი უთხრა ბრალმდებელს და შესაძლებლად არ იცნა ახალის მოწმის გამოწვევა.

შემდეგ ორივე მხრის თხოვნით სასამართლომ წაიკითხა საქმის შესახები ქაღალდები და ბრალმდებლის თხოვნით წაიკითხეს არ-მოსულთა მოწმეთა ჩვენება: სკლოტოვსკისა, ფილიპოვიჩისა, ბარძიმაშვილისა და ვორონცოვისა.

პაველ სკლოტოვსკი. მე ვსწამლობდი ყიფიანს: სისხლის დენა ჰქონდა საშარდედგან. 1887 წლის აგვისტოს თთვეში შარდს ვეღარ იშვერდა და ამიტომ დიდხანს თითქმის ვერსად რჩებოდა. დადიოდა ჩემსას და ხშირად იყო ხოლმე აგრეთვე სადმინებთან. შაბათს, დილის თერთმეტ საათზედ, ყიფიანთან ვიყავი და ჯან-საღად და მხიარულად დამიხვდა. ოციოდე წუთს დავრჩი იქ და შევნიშნე, რომ დერეფანში ვიღაც დედაკაცი შემოვიდა და მოახსენა, რომ თქვენა გკითხულობთ ვიღაცაო. ყიფიანმა უთხრა: „სთხოვე შემოვიდესო“. მაშინვე წამოვდექი და გამოვედი გარედ. სტუმრად მოსული არ დამინახავს, რადგან მეჩქარებოდა. ჩემმა მეეტლემ მითხრა, რომ როცა თქვენ გელოდდით, ვიღაც კაცი დავინახე, ბროხნიცკის ეზოსთან შედგა, ეზოში იყურებოდა და შემდეგ ნიკოლოოზის პროსპექტისაკენ წავიდაო. სად გადაიხვია ბოლოს, ვეღარ შევნიშნე, რადგან ცხენის ყურებაში ვიყავ, რომელიც მოუსვენრობდა და ერთ ადგილას არა დგებოდა. ეს კაცი ნაცრის ფერს პალტოში იყო და ცხვრის ტყავის ქუდი ეხურაო.

თევდორე ფილიპოვიჩი. შაბათის დღეს, 25 ოქტომბერს, ღამის თორმეტ საათზე, ნიკოლოოზის პროსპექტზედ მივდიოდი ბროხნიცკის აფთიაქში და წამალი უნდა მეყიდნა. ბნელი ღამე იყო და ფარნები ცუდად ანათებდა ქუჩას. ბროხნიცკის აფთიაქს რომ მივუახლოვდი, დავინახე, რომ ფარანთან, აფთიაქის პირდაპირ, ვიღაც უცნობი კაცი იდგა, თალხებში ჩაცმული. ეს კაცი შუა ტანისაზედ ცოტა მაღალი იყოდა განიერი მხარ-ბეჭი ჰქონდა. ვერ შევნიშნე რა ფერი თმა ჰქონდა და არც ის მახსოვს, წვერიანი იყო, თუ უწვერო. იმ კაცთან ერთად ერთი სხვაც დავინახე, რომელიც ასასის ჰგავდა ეს მეორე პირველისაკენ მიდიოდა. როცა აფთიაქში წამალი ვიყიდე და გამოვედი, დავინახე, რომ ზემოდგან ბულვარზედ ფარნისკენ მოდიოდა ისეთივე კაცი, როგორც პირველად მოვკარი თვალი. ეს კაცაც წინანდელსავით ნელის ნაბიჯით მოდიოდა. სულ ათს ნაბიჯზე მოსდევდა მეორეც, ჩემ მიერ ასასად დასახელებული. თითქმის თხუთმეტ წუთამდე აფთიაქთან სიარული ისე მეჩვია, რომ ხელში რეგოლვერი მოვიმზადე. შემდეგ შინ შევედი და აღარ დამინახავს ისინი. ბროხნიცკის სასტუმრო ოთახებში ორი წელიწადი ვცხოვრობდი და მხოლოდ ყიფიანის მოკვლის შემდეგ გადავედი. უკანასკნელს წელიწად ნახევარს თითქმის ყველას ალექსანდრა გლადკოვისა ვემსახურებოდა. თუმცა ჩემის სადგომის კარებს დიასა ვკეტავდი, მაგრამ არასოდეს არაფერი არ დამკარგვია. საზოგადოდ ბროხნიცკისთან დგომა ისე უშიშარი მეგონა, რომ ღამეც-კი დიას მქონ და კარები და ფანჯრები გარედგან იყო ხოლმე გაღებილი. ყიფიანთან იშვიათად დავდიოდი. წარსულს ზამთარს როგორღაც ლაპარაკი მომივიდა ალექსანდრა გლადკოვასთან და ვკითხე, რომ ყიფიანს კარგად მოუვარე, რადგან ძალიან დამსახურებული გენერალია და ბევრი ორდენი აქვს-მეთქი. ალექსანდრამ მიპასუხა, რომ „ჰო, მეტს გნახე, რომ ბევრი ფული აქვსო“, და დაასახელა კიდეც ფულის ადგილი, მაგრამ აღარ მახსოვს ქისა სთქვა, თუ საკვოიაჟი. მაღლი „ფინტიკი“ უმეტესად ალექსანდრას დასდევდა უკან. 24 ოქტომბერს, საღამოს 11 საათზედ, მე და ისტამანოვი დავბრუნდით სახლში და კარები დავკეტეთ. შემოვედით, კვლავ დავკეტეთ, თორმეტს საათზედ დავწექი და დავიძინე. როცა ყიფიანის სადგომში კარები იღება, ან იკეტება, ჩემს ოთახში ხმა შემოდის. 25 ოქტომბერს, დილის 8 საათზედ, შემოვიდა ჩემთან ალექსანდრა, საღო წადები გასაწმენდად და მითხრა, რომ ყიფიანის კარები ღიაო. საღე და მოსურე-მეთქი. პატარა ხანს შემდეგ წადები შემომიტანა და აღელვებულის ხმით გადმომცა; „მეშინიან, ვერ შევსულვარ, გენერალი ზეწარში გახვეული წევს, თეთრეული მირსა ჰყრია, ხელსახოცები გაფანტულიაო“. მე ვუპასუხე, რომ ალბად დასცხა და კარები იმიტომ გააღო, წადი გააღვიძე და ნახე რა ამბავია-მეთქი. რამდენისამე ხნის შემდეგ კიდევ შემოვიდა და მითხრა, რომ „გენერალი ცოცხალი არ არისო“. საიდგან იცი-მეთქი? „გაღვიძეთ, ვეძახეთ, მაგრამ ხმა-კრინტი არ დასძრაო“. ბროხნიცკის შეატყობინეთ-მეთქი? „შევატყობინეთო“. საჩქაროზედ ტანთ გადავიცვი და წაველ ყიფიანისას. საწოლის კარებში იდგა მეკარე ანდრია და მეტლე ოსიპი. საწოლში რომ შევიხედე, ბალიშზედ სისხლი დავინახე. ყიფიანს ფეხები მკვდრისებური ჰქონდა და ზედ ხელსახოცები ეყარა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მოეკლათ, და ოსიპი ბოქაულთან გავგზავნე. ოსიპი ზანტად წავიდა და ბუტბუტებდა, რომ «სად ვიპოვნო ახლაო». პატარა ხანს შემდეგ ალექსანდრაც შემოვიდა და ექიმ ელიავასთან გავგზავნე. საჩქაროდ მოგროვდნენ მეზობლები და მოვიდნენ აგრეთვე ექიმი ელიავა, ბოქაული და სასამართლოს გამომძიებელი. გამომძიებლის მოსვლამდე განსვენებულს არავინ მიჰკარებია. როცა ყიფიანისას ვიყავი, ოსიპმა ფანჯარასთან მიდგმულ ქვებზე დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ რაკი ფანჯრებს ორ-რიგი მინები ჰქონდა და ისიც მთელი, იმის ლაპარაკს ყური არ ვუგდე. კვირა დღეს, 25 ოქტომბერს, დაბინდდა, როცა მე და ისტამანოვი კიბეზედ ავდიოდით სახლში. დავინახეთ, რომ ოსიპი და მემაშინე იდგნენ და ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოდნენ. ხმა გავეცი ალექსანდრას და ის, იმის მაგიერ, რომ ჩემკენ წამოსულიყო, მოლაპარაკეებთან შედგა და ლაპარაკში ჩაერია. ამ გარემოებამ ცნობის-მოყვარეობა გამიღვიძა, შევდექი და ყურები ვცქვიტე, რომ იქნება გავიგონო რამე-მეთქი. მხოლოდ შემდეგს სიტყვებს მოვკარ ყური, მგონი მემაშინეს მიერ ნათქვამს: „ხომ იცი, ისინი ყველანი ჩვენი მტრები არიანო“. არ ვიცი ვისზე იყო ეს სიტყვები ნათქვამი.

ივანე ვორონცოვი (ყოველსავე ქონებრივს უფლებას ჩამორთმეული). არ გამიგონია, რომ პატიმარს სტრეპეტოვს ეთქვას, ვითომც „დავიღუპე მეც და ყველანიცაო“. სტრეპეტოვს იქნება რო-

*) იხ. „ივერია“ №№ 168, 169, 170, 172, 173, 175, 178 და 181.

---

ყველგან და ყოველთვის ქრისტეს სარწმუნოების ამოფხვრასა და მაჰმადიანობის გავრცელებასა სცდილობდნენ. ხევის-ბერების ხატის მსახურებაში ქრისტიანული კვალი თუმცა ცოტაა და შეიძლება ძველს დროში უფრო ცოტაც ყოფილიყოს, მაგრამ ხევის-ბერი ფშაველებთან ერთად ალღოთი მაინც ქრისტიანი იყო და ყველა „ურჯულო“, მაჰმადიანი თავის სამშობლოს და სარწმუნოების დაუძინებელ მტრად მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც. ფშაველის ხევის-ბერი არც ერთს სამღვდელ-მოქმედო წესს არ ასრულებს, იმისი სარწმუნოებრივ წესების ასრულება სრულიად არ ეხება ეკკლესიას. ხევის-ბერი და საზოგადოდ ფშაველები საეკკლესიო წესებსა და მღვდელს პატივისცემით ეპყრობიან და არც ისე იშვიათად დაიარებიან ეკკლესიაში ღვთის მსახურების მოსასმენად, როგორც ეს ზოგიერთებსა ჰგონიათ, მაგრამ ეკკლესიაში ლოცვა, ფშაველის აზრით, საკმარისი არ არის მისთვის, თავისი საერო სალოცავი ამას არ «გაუთვლის», იმას შეუძლიან ეკკლესიაში ლოცვა, მაგრამ ეს ვერ განათავისუფლებს იმ მოვალეობისგან, რაც იმას თავისმა საერო სალოცავებმა წესად დაუდეს. ზევით მოხსენებული იყო, რომ ფშაველებს თავის ხატების შესახებ აქვთ ზეპირ თქმულობა, რომელიც შეეხება იმათ ხატების „ხორციელად ყოფნის“ დროსაო და თვით ზოგიერთი თქმულებაც სანიმუშოდ მოვიყვანეთ. ეხლა მოვიხსენიებ კიდევ რამდენსამე თქმულობას, რომელიც შეეხება ხატის ხორციელობიდგან გადაცვლისა და სულ წმინდად გადაქცევის დროს, როდესაც ხატმა თავდა პირველად „თავი იჩინა“ და სასწაულთ, მოქმედება ჰქმნა. რადგანაც ლაშარის ჯვრისა, კოპალასი და თამარ-მეფის ამ ქვეყნიურ მოღვაწეობის შესახებ თქმულობა და იმათის სალოცავების მოწყობილობა უკვე ავწერე, ამისთვის გარდმოცემასაც ისევ ამ სალოცავების შესახებ გაგონილს მოვიყვან. წინათვე უნდა აღვიარო, რომ ეს გარდმოცემები სრული არ იქნება, რადგანაც ღონისძიება არა მქონდა ყველგან გამომეკითხა დაწვრილებით და შემეკრიბა ვრცელი ცნობები, მაგრამ რაც ვიპოვე, ისიც საკმარისია ფშაველის სალოცავების წარსულისა და თვით ფშავლების იმ დროინდელ სარწმუნოებრივ მდგომარეობის დასასურათებლად.

ღელის გორზედ, სადაც ფშაველებს თამარ-მეფის სალოცავი აქვთ, ძველ დროში, მანამდის სალოცავი „თავს იჩენდა“, გაბიდაურების თემის ფშავლებს უცხოვრიათ და ეს გორი თავის მთა-ბარიანად ამ თემის საკუთრება ყოფილა. როდესაც ამ გორაზედ თამარ-მეფეს „თავი უჩენია“, ეს ხალხი გაბიდაურების სხვა სოფელში, სახელდობრ ხოშარაში, გადაუსახლებიათ. აი ეს როგორ მომხდარა. სალოცავის გამოჩენა გაბიდაურის დედაკაცის, სახელად სანათას, „უნარი ყოფილა“. თავდა პირველად იმას დაუწყია იმ ადგილში, სადაც ეხლა სალოცავია, სანთლის ნთება და თამარ-მეფის ხევის-ბერულად დიდება, ურჩევია იქ მცხოვრებელ ფშავლებისათვის სხვაგან გადასახლება და იმ ადგილის დათმობა თამარ-მეფისთვის. ფშავლებს სანათას რჩევა არ დაუჯერებიათ და არც გადასახლებულან. თამარ მეფე ამის გამო განრისხებულა იმათზედ, ერთმანეთი ირმებად მოუჩვენებია და მშვილდ-ისრით ამოუჟლეტნია. მაინც რამდენიმე კომლი ამ სასწაულის შემდეგაც გამაგრებულა, არ გადასახლებულა. იმათ უთქვამთ, რომ სანამდის გასაღეწად გაშლილს კალოს თავის თავად ცეცხლი არა აჩნდება, ფიწლის ტოტებზედა და ხარის რქებზედ კლებტრის ალივით ცეცხლი არ გამოჩნდება, არ გადავსახლდებით აქედგანაო. ამ ურწმუნოთათვის თამარ მეფეს, ფშავლების სიტყვით, ეს სასწაულიც მოუვლენია და შემდეგ იძულებულები გამხდარან გადასახლებულიყვნენ. ეხლა ღელის გორზედ, სალოცავის მოშორებით, მარტო მისრიაანთ გვარი ცხოვრებს. მისრიაანნი ჩამომავლობით ხევსურები არიან, გვარად ჯალაბაურნი, იმათნი წინაპარნი თავის სამშობლოდამ გადმოსახლებულან, თამარ მეფეს შეჰბარებიან და დღესაც თამარ-მეფის ნება-დართვითა და იმისის მფარველობით სცხოვრობენ ღელის გორზედ. მისრიაანთ გვარიდგან თითო კაცი თამარ მეფის ცხვარსა ჰყავს მწყემსად მიჩემებული. ჯალაბაურებს უცხოვრიათ პირ-იქით ხევსურეთში, არღუნის ხეობაზედ. იმათი სახლის ნანგრევი დღესაც ცხადად მოჩანს სოფელ შატილს ახლო. ის სახლი ფშაველებს დაუნგრევიათ და ჯალაბაურის გვარი ამოუწყვეტიათ, მხოლოდ ერთი გადარჩენილა, გაჰქცევია ფშაველებს, შემდეგში შერიგებია და ზოგის თქმით თითონაც ფშაველის ხატს შეჰბარებია. ფშაველებსა და ჯალაბაურთ შორის მტრობა ყოფილა. ისინი ფშაველების მტრების ქისტების მომხრეები ყოფილან და იმათს მეკობრეობაში ფშაველების წინააღმდეგ იმათაც მონაწილეობა ულიათ. ესა ყოფილა მიზეზი ჯალაბაურთ ამოწყვეტისა. ჯალაბაურთ ადგილი, სადაც მათი ციხეები და სახლები არის, ისეთი მიუდგომელი ადგილია, რომ, თუ ხერხით არა, იქ პირდაპირ საომრად მისვლა შეუძლებელი ყოფილა. ამის გამო ფშაველებსაც ხერხი უხმარიათ და ჯალაბაურების გვარი ღალატით ამოუწყვეტიათ. ჯალაბაურთან მტრობა ფშაველებს დიდი ხანი ჰქონიათ. იმისი დამორჩილება ადვილი არ იყო, რადგან ჯალაბაურების გვარი რიცხვით ფშაველებზედ ნაკლებნი არ იყვნენ და სცხოვრობდნენ მდ. არღუნისა და სიმურის ხეობებზედ, მიუდგომელს კლდეებში. ფშაველებს იმათზედ გალაშქრება არა ერთხელ დასჭირებიათ.

თათარას ჯალაბაურის
შვილს უამარიმე ჰქვიანო,
ქავს გარეთ ციხე ააგო,
კუთხს ირმის რქანი ჰკრიანო.
გადაემტერა ფშაველებსა,
ჭკვა მაგას არა ჰქვიანო;
მისცვივდეს ფშავლის შვილები,
ცხოვრებას აუშლიანო;
იმის ქავსა და ციხესა
სიმურში გადაჰყრიანო

ჯალაბაურების მტრობა და კადნიერება იქამდე მივიდა, რომ ფშაველების გასაჯავრებლად და დასამცირებლად იმათ ერთი დიდი რკინის ბორკილი გააკეთებინეს, ვითომ-და ლაშარის ჯვარის დასაბმელადაო. ამ ნაირის კადნიერებით განრისხებულმა ლაშარის ჯვარმა მოამიზეზა, დასაჯა ჯალაბაურები და ხსენებული ბორკილი თავისის ხელით მოატანინა ლაშარს, სადაც ინახება იგი დღეს აქამომდე.

დ. ხ—ლი

(შემდეგი იქნება)

დისმე ეთქვა ეს სიტყვები, ალბად მაშინ მე იმ სენაკში არა ვყოფილვარ. ამ ბოლოს დროს სტრეპეტოვი ძალიან ნაღვლიანად არის და ქაღალდსა შლის. მოკლული ზადუნაისკი და განსვენებული შულგინი დიდი მეგობრები იყვნენ. ზადუნაისკი და ხოხლოვიც ჰმეგობრობდნენ ერთმანეთს. ხოხლოვი დაახლოვებული იყო შულგინთანაც. ჩხუბამდე გრიგორიევიც ამხანაგობას უწევდა ყველა ზემოდ დასახელებულთ, არ ვიცი, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში ზადუნაისკისა და სტრეპეტოვს და ან ხოხლოვსა და ბრალდებულს, მაგრამ ის-კი შენიშნული მაქვს, რომ უკანასკნელს დროს ორივე პატიმარნი ერთმანეთთან ხშირად დადიოდნენ და რაღაცას მასლაათობდნენ.

ვორონცოვის ჩვენების წაკითხვით გათავდა სასამართლოს გამოძიება ყიფიანის მოკვლის შესახებ. სასამართლოს განაჩენი უკვე მოუხსენებათ მკითხველებს.

## წვრილი ამბები

შვეციაში ახალის საშუალებისთვის მიუგნიათ განმადიდებელ შუშების საკეთებლად. ამ საშუალებით ეხლა ისეთი შუშები გაუკეთებიათ, რომელიც საგანს ერთი ხუთასად ადიდებს უწინდელზე. ეს აღმოჩენა დიდს ალიაქოთს ასტეხავს მეცნიერების იმ ნაწილში, რომლისთვისაც იხმარება იგი: ასტრონომიასა, ფიზიკასა, ქიმიასა, ანატომიასა, ფიზიოლოგიასა და ბაქტერიოლოგიაში.

— ლიუბეკის სისხლის სამართლის სასამართლოში ამას წინად ერთი მეტად სამწუხარო საქმე გაურჩევიათ: 12 წლის მარგარიტა ბერენსის ის ბრალი ედებოდა თურმე, რომ ცხრა თვის ყმაწვილი მოეკლა, ის ყმაწვილი, რომლის გამოც ძიძად ყოფილიყო აყვანილი და რომელსაც უვლიდა. მიზეზი ასეთის ბოროტ-მოქმედებისა ისა ყოფილა, რომ გოგოს უფიქრნია: როცა ეს ყმაწვილი აღარ იქნება, სათამაშო დრო ბევრი დამრჩებაო. ამ აზრით მშობლების შინ არ ყოფნის დროს ყმაწვილი ჩაუწვენია ლოგინში, საბანი გადუფარებია და ყელში წაუჭერია ხელი იქამდე, ვიდრე სულ არ დაურჩვია. სასამართლოს ამ მცირე წლოვან ადამიანის მკვლელისათვის შვიდის წლით საპატიმროში ყოფნა გადაუწყვეტია.

— ფრანკფურტს ერთს ქალს ამ რამდენისამე თვის წინად ქმარი დაჰკარგვია და იმის ამბისა აღარა შეუტყვია-რა, ბოლოს ამდგარა და სასამართლოსთვის მიუმართავს, რომ პირველი ქორწინება გააუქმეთ და ნება მომეცით, რომ სხვა ქმარი შევირთოვო. რამდენისამე დღის შემდეგ ამ ქალს თავისის ქმრისაგან წერილი მიუღია, რომლითაც ატყობინებს, რომ მაჰმადიანობა მივიღე და სტამბოლში მოდი, ჩემს ჰარამხანაში პირველი მეუღლეობა გამიწიეო. რადგან ამ წერილთან კაი მალი ფულიცა ყოფილა, ქალი დათანხმებულა, აურილა და სტამბოლისკენ წასულა. სასამართლოს-კი ეს საქმე აღარ გაურჩევია, გადაუდვია, რადგან მომჩივანი არ გამოცხადებულა.

— აწინდელი ყმაწვილები. ბერლინში მესამე კლასის შეგირდი, ევგენია, მეთოთხმეტე წელში რომ გადამდგარა, დაახლოვებია თორმეტის წლის ელენეს ერთს მშვენიერს დღეს ელენემ თავისი წიგნები დაურიგა თურმე აქეთ-იქით, და როცა ჰკითხეს: „რად სჩადიხარ მაგასაო", უპასუხა: სამგზავროდ მივდივართ მე და ჩემი საქმროვო." მეორე დღეს ეს ყმაწვილი და იმისი თოთხმეტის წლის არშიყი მართლაც მიჩქმალულან სადღაც. რკინის გზაზედ საერთო ყურადღებას იქცევდნენ თურმე. ერთს რკინის გზის სადგურის უფროსს უკითხავს: „სად მიდიხართო" და ყმაწვილებს უპასუხნიათ, რომ არსად, ისე გსეირნობთ და გსიამოვნებთო. ფული ყმაწვილებს მშობლებისაგან მოუპარავთ და დღესაც არავინ იცის, სად წასულან. თორმეტის წლის ელენეს წასვლამდე ასეთის შინაარსის ბარათი მიუწერია ერთის თავის მეგობრისათვის: „საყვარელო კატო! სასწავლებლის ცხოვრების ერთ-ფეროვნობამა და პროზამ ძალიან მომაწყინა; მე რომანიულს სიყვარულსა ვარ მოწადინებული, დამოუკიდებელს ცხოვრებას, ოჯახის კერა მინდა მქონდეს, საკუთარის ოჯახისა, და ყოველ ამის მოცემა კი ჩემს ევგენიას შეუძლიან. მშვიდობით. შენი ელენე".

## დეპეშა

26 აგვისტო

პეტერბურგი. „Гражданинъ"-ს შეუტყვია, რომ შაქირ-ფაშა, რომელიც ამ ჟამად კრიტის გენერალ-გუბერნატორად არის, ინიშნება დიდ ვეზირადაო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ ლეიბგვარდიის „პრეობრაჟენსკის" პოლკის ბატალიონის კომანდარი გრაფ პფეილი სტოვებს რუსის სამსახურს და პრუსიაში მიდის, საცა სამაიორატო მამული უნდა მიიღოსო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ლიტანიასა და პარაკლისს შემდეგ დროშები ძირს დაუშვეს. ოფიციალურად ბაზრობა გათავებულია.

ხარკოვი. სამარიობო ბაზრობა თავდება. ვაჭრები უფულობას სჩივიან. ქვა-ნახშირის ფასმა იკლო ორის კაპეიკით.

ანტვერპენი. ნავთ-სადგურის მახლობლად იფეთქა ქარხანამ, საცა თოფის გულას ამზადებდნენ. ამასობაში მომკვდარა 150 კაცი და დაჭრილა 80-მდე. ცეცხლი ძალიან გავრცელდა და დაზარალდა სახეჯრაეი საბირჟო შენობისა. იწვის 60,000 „ბოჩკა" პეტროლეუმი. ცეცხლის ალი ადის ჰაერში 200 მეტრის სიმაღლეზე.

27 აგვისტო

პეტერბურგი. რექტორი პოდოლის სასულიერო სემინარიისა არხიმანდრიტი ანტონი დაინიშნა ნოვგოროდ სევერსკის ეპისკოპოსად და მოსკოვის სიმონის მონასტრის წინამძღვრად. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იოანე დაინიშნა აქსაის ეპისკოპოსად.

«Гражданинъ»-ის სიტყვით, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე წავიდა მოსკოვით ნიკოლაევს.

სამხედრო მინისტრი, კოვნოდგან დაბრუნებული, დინაბურგში გაჩერდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუშინ ვაჭრებმა სადილი გაუმართეს გუბერნატორს. სხვადა-სხვა სადღეგრძელოს შემდეგ ფინანსთა მინისტრს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც გამოცხადებულია უქვეშევრდომილესნი გრძნობანი ხელმწიფე იმპერატორისადმი. მეორე დეპეშა გაუგზავნეს დიდს მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს. ამ დეპეშაში გამოცხადებულია სურვილი, რომ მისი უმაღლესობა მარია პავლეს ასული, მეუღლე დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძისა, მალე მორჩეს ავადმყოფობას.

ლონდონი. ნავთ-საშენებელ ქარხნებს დირექტორებმა შეიწყნარეს ლორდ-მერის წინადადება იმის შესახებ, რომ მუშებს ქირა მიემატოს 5-დგან 6 პენსამდე საათში ახალ წლიდგან, ხოლო იმ პირობით, რომ ეხლავე მოჰკიდონ ხელი მუშაობასაო. მუშების მეთაურის ბერნსის მეცადინეობით არც ერთმა მუშამ არ უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე მუშაობის შეჩერების გამო.

სტოკჰოლმი. დღეს ორიენტალისტების კონგრესმა დაასრულა თავისი სხდომები.

28 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ საღამოს დაბრუნდა პეტერბურგს სამხედრო მინისტრი.

„Моск. Вѣд."-ებს გაუგონიათ, რომ მზადდება პროექტი სამადნო ქარხნების მუშათა ზნეობის განკარგებისათვის საჭირო ღონის-ძიებათა.

„Нов. Вр."-ს შეუტყვია, რომ უკვე გადაუწყვეტიათ საერო სკოლები სამრევლო სკოლებად გადააქციონ. იმ წესების შესამუშავებლად, რა წესებითაც უნდა გადაეცეს ეს სკოლები სამღვდელოებას შესდგება კომისია. ამ კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას წარმომადგენელნი შინაგან საქმეთა და საერო განათლების სამინისტროსი და წარმომადგენელი უწმ. სინოდისა.

იაროსლავი. აქ დაიწყო გამოფენა მებოსტნეობისა და ბაღოსნობისა.

კოპენჰაგენი. რუსეთის უავგუსტოესი სახლეულობა თავისიანებში ატარებს დროს ფრედენბორგის ციხე-დარბაზში; ოფიციალური დროს გატარება ჯერ-ჯერობით არა ყოფილა-რა.

ვენა. მეორე მსხვერპლი ავაზაკების თავდასხმისა იაროსლავში, პორუჩიკი შუბერტი გუშინ გარდაიცვალა. რაკი ეს მეორე აფიცერიც გარდაიცვალა (მეორეს გვარი დონატი იყო), დამნაშავეს პოვნა და აღმოჩენა, რასაკვირველია, უფრო გაძნელდა. ის აზრი, რომ ვითომ ეს დანაშაული შურის ძიების საქმე იყო, ან დუელისა და ან ვითომ პანსლავისტების თავდასხმისა, არაფრით არა მართლდება. მთავრობა ჰგონებს, რომ დანაშაული ჩადენილია გაცარცვისათვის. დამნაშავეს ჯერ ერთი წაუქცევია რაღაც ჩლუნგის იარაღის დარტყმით და მერე მეორე, დაუწყვია მათი ცარცვა, მაგრამ ამ დროს ვიღაც მგზავრები მოდენილან და იმათ დაუშლიათ.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების"
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანაშვილის მიერ. „ 50

ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ქორდანიასაგან . . . . . . . . „ 55

ახალი წიგნი

„მიბაძვა ქრისტესი"

თხზ. თომა კემპელისა

ისყიდება ტფილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების მაღაზიებში, ბათუმში — მოსე ნათაძესთან, გორში — არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში, ცხინვალში — ქეთევან ქურულისას, ახალციხეს — მღვდელ გვარამაძესთან, ხონში — ძმ. წერეთლების მაღაზიაში.

ფასი წიგნისა ყდითა და ორის სურათით — 70 კაპ., უყდოდ და უსურათოდ 40 — კაპ.

საწყობი წიგნისა გორშია, არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში.

(5—2)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს — Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—27)

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წელიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში — ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული.

(10—9)

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | |
|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | მან. კაპ. „ 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 |
| საყმაწვილო ამბები . . . . | „ 40 |

კერძო ექიმი
პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად.

(10—1)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108

(50—35)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის" გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა",

რომელიც ყველაფრით მოსერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაუთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას.

(30—25)

Доз. ценз. Тифлисъ 28-го Августа 1889 года. სტამბა ა. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე